

**ანთროპონიმთა გადმოსემისათვის „თვენში“
(გელათური გულანის /K-596/ მიხედვით)
FOR CONVEYING OF ANTHROPONYMS IN MENAION
(ACCORDING TO GELATIAN LITURGICAL BOOK
“GULANI” /K-596/)**

ფიქრია ჭაბუკიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო,

Pikria Tchabukiani
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The Gelatian Gulani (K-596), preserved at the Kutaisi State Historical Museum, copied in 1541, is the first dated Gulani among such manuscripts. The text is defective and damaged. Only Parakletike (1r-173v) and the Menaion for the entire year from September to August (175r-637v) are preserved in it.

The Menaion is a liturgical book (or collection of books) that contains a calendar sequence of annual liturgical services, that is, hymns of feasts and saints for the whole year. By applying the Georgian-Greek sources, Giorgi the Athonite (Mtatsmideli) compiled the first Menaion. Many saints are referred to in the Menaion, and therefore, it is rich in Greek and Jewish anthroponyms. Their Georgian alternatives are rather interesting: **St. Theoktīte** (Theoktīste), **Babla** (Babila), **St. monk martyr Varipsava** (Varipsave), **Avṭomoni** (Avṭonome), **St. and noble Euphemia** (Ephemia), **Paphonṭi** (Paphnuṭi) and so on.

The issue of transmission of anthroponyms in translated liturgical books is complex and requires multifaceted observation. There are several reasons for the variety of proper names: 1. Different types of foreign language sources, 2. Translation process, 3. Copying/writing process, 4. Editing after centuries according to one of the rules and so on.

In terms of difference of transmission, two types of proper names are identified: 1. Names that slightly differ from comparable units; 2. Names that are completely different, almost none of the sounds match those of the comparable units.

The difference between the comparable units can be: single-level (when difference is exhibited by a single letter-sign), two-level or multi-level, i.e. some names show such a huge difference that the way the name has been transferred into Georgian may even remain unclear.

საკვანძო სიტყვები: ანთროპონიმები, ქართული ხელნაწერი, გელათური გულანი.

Keywords: Anthroponyms, Georgian Manuscripts, Gelati Gulani.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული გელათური გულანი (K-596), რომელიც გადაწერილია 1541 წელს, პირველი თარიღიანი გულანია ამ ტიპის ხელნაწერთა შორის. ტექსტი ნაკლული და დაზიანებულია. მასში შემორჩენილია მხოლოდ პარაკლიტონი (1r-173v) და მთელი წლის „თვენი“ სექტემბრიდან აგვისტომდე (175r-637v).

„თვენი“ არის საღმრთისმსახურო წიგნი (ან წიგნების კრებული), რომელიც კალენდარული თანმიმდევრობით შეიცავს საწელიწადო ციკლის მსახურებებს, ანუ მთელი წლის დღესასწაულებისა და წმინდანების საგალობლებს. ქართულ-ბერძნული წყაროების გამოყენებით პირველი „თვენი“ შეუდგენია გიორგი მთაწმინდელს. ეს უდიდესი და შრომატევადი საქმე იყო, რადგან „თვენის“ სრული, უნაკლო ვერსია ბერძნულ ენაზედაც არ არსებობდა. გიორგი მთაწმინდელს სხვადასხვა ავტორთა საგალობლები შეუკრებია ხელნაწერებიდან და „შემღლებისამებრ, თავი მოუყრია ამა თუ იმ დღის წმინდანის ყველა ავტორის საგალობლებისათვის, რომელიც კი ხელში ჩავარდნია მას. ასე რომ, მისი თხზულება წარმოადგენს ერთგვარ კრებულს მთელი წლის ჰიმნებისას“ (კეკელიძე 1980: 226). „თვენში“ მოხსენიებულია უამრავი წმინდანი, შესაბამისად, იგი მდიდარია ბერძნული და ებრაული ანთროპონიმებით. საინტერესოა მათი ქართული ვარიანტები, მაგალითად: წმ. თეოქტიტე – თეოქტისტე, წმ. მონაზონ მოწამე ვარიფსავა – ვარიფსავე, ავტომონი – ავტონომე, სილოვანე – სალუანე, ნიკიტო – ანიკიტე, ანდრიანე – ანდრია, წმ. და დიდებული ევფემია – ეფემია¹...

ნათარგმნ საღვთისმსახურო წიგნებში ანთროპონიმთა გადმოცემის საკითხი რთულია და მრავალსპექტიან დაკვირვებას საჭიროებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა ლინგვისტური და ფილოლოგიური თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, ნასესხებ სიტყვათა და ანთროპონიმთა გადმოცემისას ძირითადად მოქმედებს ორი პრინციპი: ფონეტიკური და გრაფიკული. ფონეტიკური პრინციპის დროს სიტყვა გადმოიცემა წარმოთქმის შესაბამისად, ხოლო გრაფიკული პრინციპის დროს ყურადღება ექცევა დაწერილობას. არსებობს, ასევე, შერეული პრინციპიც. ძველ ქართულში ძირითადად გამოიყენებოდა ფონეტიკური პრინციპი, რაც გულისხმობს სახელთა წარმოთქმის შესაბამისად გადმოტანას (თოფურია 1965: 64-65.)...

ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ მე-16 საუკუნის გელათურ გულანში (K-596) დაცულ „თვენში“ დადასტურებული წმინდანთა სახელები და თანამედროვე ქართულით გადმოტანილ „წმიდათა ცხოვრებაში“ თვეებისა და დღეების მიხედვით გაწყობილ წმინდანთა სახელები.² შედარებამ საკმაოდ დიდი სხვაობა გამოავლინა. კვლევა საინტერესო მასალას იძლევა როგორც ლინგვისტური, ისე ტექსტოლოგიური ასპექტით. როგორც

¹ ნაშრომში მოხმობილ მაგალითებში პირველ ადგილზე დგას „თვენის“ ანთროპონიმები, მეორეზე კი – „წმიდათა ცხოვრებისა“.

² საანალიზო ერთულების ბერძნულ-ლათინური, ძვ. ებრაული და რუსული შესატყვისებისთვის ძირითადად გამოყენებული გვაქვს ა. ვ. სუპერანსკაიას

ადვინიშნით, საკითხი პრობლემურია და სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, რაც ძალიან შრომატევადი საქმეა. ეს საკითხი ადრევე წამოჭრა კორნელი დანელიამ, თუმცა პრობლემა დღემდე გადაუჭრელია.

კ. დანელიას აზრით, ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებში საკუთარ სახელთა „ლინგვისტური ასპექტით შესწავლას შეუძლია საყურადღებო მასალა გამოავლინოს შესადარებელ ენათა ფონეტიკური სისტემის ძველი ვითარების დასადგენად, რომელიმე ბგერის ადრეული ბუნების გასარკვევად. ცხადია, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ურთიერთშესადარებელი ენების ბგერითი სისტემის სპეციფიკა, რადგან უცხოენოვანი ტექსტების შედარებით გამოვლენილი ბგერითი ფარდობა ხშირად არ უდრის ბგერათა ექვივალენტურობას“ (დანელია 1998: 115).

საკითხის ფილოლოგიური თვალსაზრისით განხილვა მნიშვნელოვანია ნათარგმნი ტექსტის პირველწყაროს დასადგენადაც.

ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციების ორივე ასპექტით შესწავლას გადაუდებელ საქმედ მიიჩნევდა კ. დანელია და ამისათვის საჭიროდ ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციების სრული კორპუსის არსებობას ასახელებდა. იგი ხაზს უსვამდა, ასევე, ერთ პრობლემურ საკითხს: როგორ უნდა იქნეს გადმოტანილი საკუთარი სახელები ბეჭდურ ტექსტებში, ისე, როგორც ხელნაწერში დასტურდება თუ ენაში არსებული საკუთარ სახელთა გადმოცემის წესების შესაბამისად. ამ რთულ და პრობლემურ საკითხს შეეხო აკაკი შანიძეც. მისი პრინციპი იყო საკუთარ სახელთა გაუსწორებლობა (უცვლელობა), თუმცა მეცნიერი სრულად არ გამორიცხავდა მცდარი ფორმების შესწორებას. ამას გამართლებულად მიიჩნევდა მხოლოდ სხვადასხვა ხელნაწერის შედარება-შეჯერების შემდეგ: „სათანადოდ გასწორება სხვა ვერსიებთან შეჯერებისა და სხვა ხელნაწერების ტექსტების გათვალისწინებით არის შესაძლებელი“ (შანიძე 1947: 8).

მიგვაჩნია, რომ უძველესი ნათარგმნი ტექსტების (ეს იქნება საღვთისმსახურო თუ არასაღვთისმსახურო) საკუთარ სახელთა (ანთროპონიმები, გეოგრაფიული სახელები, ჰიდრონიმები...) გადმოცემისას აუცილებელია ავიღოთ ერთი პრინციპი და სახელი დავტოვოთ უცვლელად, ხოლო ფრჩხილებში ან სქოლიოში მიეთითოს ის ფორმა, რომელიც შეესაბამება ენაში არსებულ წესებს, შეიძლება მიეთითოს ე. წ. იკითხვისებაც. ამით შევინარჩუნებთ სხვადასხვა რედაქციას და ამ რედაქციათა უცხოენოვან წყაროებთან კავშირის კვალს.

გადმოცემის განსხვავებულობის მიხედვით გამოიყოფა საკუთარ სახელთა ორი ტიპი:

1. სახელები, რომლებიც მცირედით სხვაობს შესადარებელ ერთეულთან;

2. სახელები, რომლებიც რადიკალურად განსხვავდებიან, თითქმის არც ერთი ბგერა არ ემთხვევა შესადარებელ ერთეულს.

შესადარებელ ერთეულთა შორის სხვაობა შეიძლება იყოს ერთდონიანი (როდესაც სხვაობა მხოლოდ ერთ ასონიშანშია), ორდონიანი და მრავალდონიანი³, ანუ ზოგიერთი სახელი იმდენად დიდ სხვაობას ავლენს, შეიძლება ვერც კი გავიგოთ, სახელი რა პრინციპით არის გადმოტანილი ქართულში. მაგალითად: **პილა – პიგასი, პაფონტი – პაფნუტი, ვარო – უარი, ხალალამპი – ხარლამპი, მარტინიანე – მარტინე, მამელხთა – მამელხვა, თეოქტიტე – თეოქტისტე, სოზონი – სოზონტი, ბაბლა – ბაბილა, ქსენეფორე – ქსენოფონტე...**

უნდა აღინიშნოს, რომ „ერთი და იმავე ფუძის მქონე საკუთარი სახელები ბერძნულში ზოგჯერ სხვადასხვაგვარადაა ნაწარმოები, შესაბამისად, სხვადასხვა დაბოლოება აქვთ. რამდენიმე ასეთი სახელი ქართულშიც შემოსულა; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგ სახელს ძველ ქართულში აქვს პარალელური ფორმები – ორი ან მეტიც. სხვა მხრივ, ადამიანთა საკუთარი სახელები იმავე მორფოლოგიურ ნორმებს იცავენ, რასაც საზოგადო სახელები, ოღონდ მათ მრავლობითი რიცხვის წარმოება არ შეუძლიათ“ (შანიძე 1969: 135).

საკუთარ სახელთა ნაირგვარობას განაპირობებს რამდენიმე მიზეზი:

1. სხვადასხვა ტიპის უცხოენოვანი წყარო
2. თარგმნის პროცესი
3. გადაწერის/წერის პროცესი
4. საუკუნეების შემდეგ რედაქტირება რომელიმე ერთი წესის მიხედვით...

ზოგადად შეცდომა შეიძლება იყოს ენობრივი საფუძვლის მქონე და უნებლიე, შემთხვევითი ხასიათისა: ასოთა, მარცვალთა და სიტყვათა კლება ან მატება და სხვა. ამ ტიპის შეცდომები აიხსნება დამწერის/გადამწერის ნაკლები გაწაფულობით, ზოგჯერ კი – ფიზიკური მდგომარეობით (სარჯველაძე 1984: 96) ან კარნახის მეთოდის გამოყენებით.⁴

გადაწერის პროცესში დაშვებული შეცდომების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ ანთროპონიმთა განსხვავებულობის ან შეცდომით დაწერილობის გამომწვევი სხვადასხვა ვარიანტი. კ. დანელია ბიბლიურ წიგნთა თარგმანებზე დაყრდნობით განიხილავს გადაწერის პროცესში დაშვებული შეცდომების რამდენიმე ტიპს, რაც განაპირობებს საკუთარ სახელთა განსხვავებულობას / ვარიანტულობას:

³ ერთ- და ორდონიანი სხვაობები შეიძლება მივაკუთვნოთ პირველ ტიპს, მრავალდონიანი კი – მეორეს.

⁴ როგორც ცნობილია, გადასაწერი ტექსტის დედნის, ეგზემპლარის უქონლობის გამო სამწიგნობრო ცენტრებში არსებული გადამწერთა ჯგუფები მიმართავდნენ კარნახის მეთოდს, რათა სწრაფად, მოკლევადიან შემთხვევაში რამდენიმე ერთი და იგივე ხელნაწერი. ცხადია, კარნახის დროს შექმნილ ხელნაწერებშიც ფიქსირდება როგორც უნებლიე, შემთხვევითი ხასიათის, ასევე ენობრივი საფუძვლის მქონე შეცდომები. კარნახით წერის პროცესს აქვს თავისი სპეციფიკა, რაც შეცდომათა დაშვების რამდენადმე განსხვავებულ მიზეზს ავლენს. ასეთია, მაგალითად: კარნახის სისწრაფე, არასწორად გაგონება და არასწორად დამახსოვრება...

1. გადამწერი ქართულ თარგმანში არსებული მისთვის უცნობი ებრაული საკუთარი სახელის გრაფიკულ სახეს არასწორად აღიქვამს და აცნობიერებს ქართულ საზოგადო სახელად;

2. გადამწერი საერთოდ უცნობ საკუთარ სახელის გრაფიკულ სახეს მცდარად აღიქვამს (არაზუსტად კითხულობს ან იმახსოვრებს) და მას აცნობიერებს მისთვის უფრო ცნობილ საკუთარ სახელად;

3. გადამწერი უცნობი საკუთარი სახელის გრაფიკულ სახეს მცდარად აღიქვამს მსგავსი მოხაზულობის ასოების ერთმანეთში აღრევის გამო და საერთოდ გაუცნობიერებელი რჩება ფორმა;

4. გადამწერი მცდარად აღიქვამს უცნობ საკუთარ სახელს, აკლებს მას თავკიდურ ასოს ან მარცვალს წინა სიტყვების მსგავსი დაბოლოების გამო, ე. ი. ორჯერ დასაწერი ერთი და იგივე ასოები (წინა სიტყვის დაბოლოებისა და მომდევნო სიტყვის დასაწყისისა) ერთხელ იწერება. ამ დროს უფრო საკუთარი სახელები კარგავს დასაწყის ასოებს ან ცუდად დამახსოვრებული სიტყვა იწერება ასოს (ასოების) დაკლებით;

5. გადამწერი მცდარად აღიქვამს (არასწორად კითხულობს ან იმახსოვრებს) უცნობი საკუთარი სახელის ფორმას, რომელსაც მექანიკურად აკლებს ან უმატებს ასოს (დანელია 1998: 121-124.).

აქვე მეცნიერი იძლევა რეკომენდაციას: „ძველი აღთქმის ქართულ რედაქციათა სრული კორპუსის გამოცემისას საჭიროა გასწორდეს საკუთარ სახელთა ისეთი შერყვნილი ფორმები, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა არა აქვთ ქართული ტექსტისა და საერთოდ სამწერლო ენის ისტორიისათვის და ტექსტში ან კრიტიკულ აპარატში უნდა აღინიშნოს სავარაუდებელი სწორი ფორმები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რომ ძველი აღთქმის წიგნთა ქართული რედაქციების სრული კორპუსის გამოცემის შემდეგ სწორად შედგეს ამ ტექსტებზე საცნობარო წიგნები – სიმფონიები და საკუთარ სახელთა ლექსიკონები“ (დანელია 1998: 124).

ჩვენს შესადარებელ მასალაში უხვად დასტურდება ანთროპონიმთა ვარიანტები. განსაკუთრებით ფონეტიკური პროცესების შედეგად სახეცვლილი ფორმები, რომლებშიც, შეიძლება ითქვას, ასახულია ენის სხვადასხვა ქრონოლოგიური დონე. გამოვყოფთ ხმოვანმონაცვლეობის შემთხვევებს, რასაც ადგილი აქვს როგორც სახელის შიგნით, ისე ბოლოკიდურ პოზიციაში:

უ – ო: ევდუკი – ევდოკია / ევდუკიმე – ევდოკიმე (ბერძნ. Ευδοκία)...

ო – ე: აღათოდორო – აღათედორე (ბერძნ. Αγαθόδορος), კოდრატო – კოდრატე (ბერძნ. Κοδρατος)...

ო – ი: ევლრაფო – ევგრაფი (ბერძნ. Ευκραφός), დიონოსი – დიონისე (ბერძნ. Διονυσος)...

ო – ა: ლუკიო – ლუკია (ლათ. Lukius)...

ო – უ: იოსტინა – იუსტინა (ბერძნ. Ιουστίνα), ვოკოლე – ვუკოლე (ბერძნ. Βουκόλε), ნაომი – ნაუმი (ძვ. ებრ. Nahūm, ბერძნ. Νάουμ, საველ. რუს. На́ум)...

უ – ი: ერმულე – ერმილე (ბერძნ. Ἐρμόλαος), ანუსია – ანისია (ბერძნ. Ἀνυσία)...

ი – ე: პორფირი – პორფირე (Πορφύριος), ეგნატი – ეგნატე (ბერძნ. Ignatios, ლათ. Ignatiosus), ანდრეა – ანდრია (ბერძნ. Ἀνδρέας), მეთოდი – მეთოდე (ბერძნ. Μεθόδιος, რუს. საეკლ. Μεθόδι), ათინოგენი – ათინოგენე (ბერძნ. Ἀθίνα, საეკლ. რუს. Афиноген), ათანასი – ათანასე (ბერძნ. Ἀθανάσιος, საეკლ. რუს. Афанасиос)...

ი – ა: ხარიტინი – ხარიტინა (ბერძნ. Χαρίταν)...

ა – ი: გურა – გური (ძვ. ებრ. gūr)...

ა – ე: ქრისტინა – ქრისტინე (ბერძნ. Χριστίνα), მაკრინა – მაკრინე (ბერძნ. Μακρίνα)...

ე – ი: დამიანე – დამიანე (ბერძნ. Δαμιανός, საეკლ. რუს. Дамиан), ემელიანე – ემილიანე (ლათ. Aemilianus, საეკლ. რუს. Емилиан)...

საანალიზო მასალაში ხშირად გვხვდება -ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმები: **ნაზარი, გერვასი, პროტასი...** როგორც ცნობილია, ასეთი სახელები ქართულში უმეტესად ბერძნულიდან არის შემოსული. ისინი განსაკუთრებით მრავლადაა სასულიერო მწერლობის ძეგლებში. ზოგიერთი მათგანი დღესაც გამოიყენება. გარკვეულია, რომ ფუძის ბოლო ხმოვნად -ი არის იმ სახელებში, რომელთაც ბერძნულში ნომინატივში აქვთ დაბოლოება **ιος** (აკაკიოს Ἀκάκιος, ამბროსი Ἀμβρόσιος, ალექსი Ἀλέξιος), **ης** (ორენტი Ὀρέντες) და ზოგიერთი სხვაც. ქართული ფორმა ამ სახელებისა შეესატყვისება ბერძნულ ვოკატივს, რაც მოწმობს, რომ ისინი ზეპირი გზითაა ქართულში შემოსული (ყაუხჩიშვილი 1956: 145).

შესადარებელ მასალაში უხვად არის ისეთი სახელები, რომელთაც თანამედროვე ქართულში დამატებული აქვთ -**იოს** / -**ოს** დაბოლოებები: -**იოს:** კორნილე – კორნილიოს, ევმენი – ევმენიოს-ი... -**ოს:** დორიმედო – დორიმედოს-ი, იერთე – იერთეოს-ი, ერასტო – ერასტოს-ი...

-**იოს**, -**ოს** დაბოლოებიან პირთა სახელების შესახებ მსჯელობს მ. მჭედლიძე. მან სხვადასხვა დროის რამდენიმე ხელნაწერი შეადარა ერთმანეთს და დაასკვნა, რომ -**ოს** დაბოლოებიანი სახელები ქართულში, როგორც წესი, ან ბერძნული ნომინატიუსის ფორმითაა, ან – ვოკატიუსის... **იოს** დაბოლოებიანი სახელები ან ნომინატიუსის ფორმით არის გადმოტანილი ქართულში ან **i**-ზე დაბოლოებული ვოკატიუსით (მჭედლიძე 2005: 275). მისი აზრით, ქართული ენის ბუნებისა და ბერძნულ სახელთა ქართულად გადმოცემის ტრადიციის გათვალისწინებით, სწორი იქნება, -**ოს**-ზე დაბოლოებულ სახელთა ნომინატიუსით გადმოცემა, გარდა უკვე დამკვიდრებული სახელებისა იქვე: 278). შესადარებელი მასალიდან ჩანს, რომ „თვენის“-**იოს**, -**ოს** დაბოლოებიანი საკუთარი სახელები მოქცეულია ქართულ ყალიბში.

თანამედროვესალიტერატუროქართულში, ძველისაგან განსხვავებით, ზოგიერთი სახელი, რომელთაც ძველ ქართულში ფუძისეული **ი** ჰქონდა, თანხმოვანფუძიანად არის ქცეული: **ანტონ, გრიგოლ...** ფუძისეული **ი**

ხმოვანი სახელობითი ბრუნვის ნიშნად არის მიჩნეული, ხოლო ფუძისეულ **ი**-ს ინარჩუნებს ანთროპონიმთა მეორე ნაწილი: **გიორგი, აკაკი...** როგორც მ. შანიძე მიუთითებს, ამგვარ დაყოფას გარკვეული კანონზომიერება ქმნის. ისტორიულად **ი** ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი დღეს თანხმოვანფუძიანად არის ქცეული იმ შემთხვევაში, თუ **ი**-ს წინ სონორი (**მ, ნ, რ, ლ**) თანხმოვანია. ასეთი სახელებია: ბასილ (ვასილ), გრიგოლ; ელევთერ (ელეფთერ), მაკარ, ნესტორ; არტემ, პახუმ; ანტონ, არსენ, პარტენ, სოფრონ (სოფრომ)... ფუძისეული **ი** შენარჩუნებულია **ა** ხმოვნის მომდევნო არასონორი თანხმოვნის შემდეგ: აკაკი, ალაპი, ამბროსი, არკადი, გელასი, გენადი, გერვასი, ევტიხი, მელეტი, მეთოდი, პალატი, პროკოპი (პროკოფი), ტარასი და სხვა (შანიძე 1969: 132).

მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდრის მიხედვით, ყოველი წლის 23 იანვარს აღინიშნება ხსენება **კლიმენტი ანკვირელისა**. „თვენში“ წმინდანი იხსენიება ასე: **კლიმი** (კლიმი ანკვირელი). სახელი ხმოვანფუძიანია ძველ ქართულში. დასტურდება მისი უფრო ადრეული ბერძნული წარმოთქმის ამსახველი ფორმა **კლიმე** (ბერძნ. Κλημη). ეს სახელი დადასტურებულია ქართულ ისტორიულ დოკუმენტებშიც (შანიძე 1969: 134).

სანალიზო მასალაში მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება ანთროპონიმთა **ვ, ზ, მ, ნ, ფ, ჰ** ბგერებით განსხვავებული ვარიანტები:

ვ: იოვაკიმ – იოაკიმე (ძვ. ებრ. Yehō-yāqīm, საეკლ. რუს. Иоаким)...

ზ: ონიფანტესი – ბონიფანტე (ბერძნ. Βονηφάντιος, ლათ. Bonifatius)...

მ: აბერკი – ამბერკი (ბერძნ. Ἀβερκιος, საეკლ. რუს. Аверкий), პაფლე – პამფლე (ბერძნ. Παμφίλιος, საეკლ. რუს. Пампфил)...

ნ: კოზმან – კოზმა (ბერძნ. Κοσμάς)...

ფ: სამფსონ – სამსონ (ძვ. ებრ. Šimšōn, ბერძნ. Σάμψων, საეკლ. რუს. Сампсон)...

ჰ: აბრაჰამ – აბრაამ (ძვ. ებრ. 'ab-rāhām)...

თანხმოვნის გარდა, გვხვდება ხმოვნის ჩართვის შემთხვევებიც. მაგალითად, **ა** ემატება, როგორც სიტყვის შუაში: ტარხო – ტარახო (ბერძნ. Ταρχο, რუს. Тарх), ასევე, ბოლოკიდურ პოზიციაში: ქსენი – ქსენია (ბერძნ. Ξένια), ანასტასი – ანასტასია (ბერძნ. Αναστάσιος, Ανάστασις, Αναστασία), ალათი – ალათია (ბერძნ. Ἀλάθων), ეპისტიმი – ეპისტიმია (ბერძნ. Ἐπιστήμη) ...

შესადარებელ ერთეულებში (ანთროპონიმებში) ზოგჯერ ერთდროულად გვხვდება ორი ფონეტიკური მოვლენა. მაგალითად: ევდუკი – ევდოკია (ბერძნ. Εὐδόκιμος, Εὐδοκία)... **უ – ო** მონაცვლეობა და **-ა** ხმოვნის განვითარება გვიჩვენებს ამ სახელთა ორდონიან სხვაობას. **-ა** სუფიქსით ძირითადად იწარმოება ქალთა სახელები, თუმცა „თვენში“ ისინი **-ა**-ს გარეშეა, „წმიდათა ცხოვრებაში“ კი **-ა** სუფიქსით არის ნაწარმოები.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, **au, eu** და **iu** აღმავალი დიფთონგის შემცველ ბერძნულიდან და ლათინურიდან გადმოტანილ სახელებში უნდა იყოს **ავ, ევ, ივ** (ნორმები

1986: 46). ეს წესი დაცული არ არის „წმიდათა ცხოვრებაში“: თევდოსი – თეოდოსი (ბერძნ. Θεόδωσος), ივლიანე – იულიანა / იულიანე (ბერძნ. Ιουλιανὰ < Ιουλιαν(ός), ევფემია – ეფემია (ბერძნ. Εὐφημία)...

ბერძნული **σ** ბგერის გადმოსაცემად ძველ ქართულში იყენებდნენ **ჭ**-ს. მოგვიანებით ბერძნულში **σ**-ს გამოთქმა **ძ**-ს დაემთხვა, შესაბამისად, ქართულშიც გადმოვიდა **ძ**-დ, ზოგიერთ შემთხვევაში კი – **ჭ**-თი (ნორმები 1986: 45). მაგალითები: 1. კჭრილე – კირილე (ბერძნ. Κύριλλος), ტჭრიფონი – ტრიფონი (ბერძნ. Τριφών), პოლჭკარპო – პოლიკარპე (ბერძნ. Πόλυκαρπος)... 2. აკჭნდინი – აკვინდინე (ბერძნ. Ακυντινος), თჭრსო – თვირსე (ბერძნ. Τουρσιος), აკჭლინა – აკვილინა (ბერძნ. Ακουιλίν), ეფთჭმე – ექვთიმე (Ευθμία)...

საანალიზო ტესტებში გვხვდება ბგერათმენაცვლების ფაქტები:

ვ-ზ: ვასილიკო – ზასილიკო (ბერძნ. Βασίλειος), სავატი – საზატი...

ვ-ფ: ელევთერისი – ელეფთერისი (ბერძნ. Ελευθεριος)...

ზ-ს: აღათანგელოზი – აღათანგელოსი (ბერძნ. Αγαθάγγελος)...

ფ-პ: სფირიდონი – სპირიდონი (ბერძნ. Σπυρίδων)...

ფ-თ: ფებრონია – თებრონია (ბერძნ. Φεβρονία)...

ჯ-გ: ჯერასიმე – გერასიმე (ბერძნ. Γεράσιμος)...

ღ-ღ: ღალაკტიონ – ღალაქტიონი (ბერძნ. Γαλακτίας), ევღრაფო – ევგრაფი (ბერძნ. Ευγραφής)...

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენამდე ბერძნულიდან **γ** ბგერის გადმოცემის საკითხი აღრეული იყო. ბერძნულში **γ** ბგერა განსხვავებულ პოზიციაში სხვადასხვაგვარად გამოითქმოდა. შესაბამისად, ის ქართულად ორნაირად გადმოიცემოდა: ედა **ი** ხმოვნების წინ იყო **გ** ბგერა, სხვა შემთხვევაში კი **ღ**. გარკვეულ პერიოდში ორივე წესი აირია. დღეს კი ბერძნული **γ** გადმოცემულია მხოლოდ **გ** ბგერით (ნორმები 1986: 44). „თვენში“ შენარჩუნებულია ძველი ვითარება, „წმიდათა ცხოვრებაში“ კი ასახულია **γ** ბგერის გადმოტანის თანამედროვე წესი.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, ბერძნულ-ლათინური **ct** გადმოიცემა **ქტ** კომპლექსით (იქვე: 48). ეს წესი დაცულია „წმიდათა ცხოვრების“ ანთროპონიმებში. ძველ ქართულში **ct** კომპლექსი გადმოიცემოდა ორგვარად: **კტ**-თი და **ქტ**-თი. ლიტერატურული გზით შემოსულ სიტყვებში უმეტესად იყო **კტ** კომპლექსი, ზეპირი გზით შემოსულ სიტყვებში კი – ორივე (**კტ**, **ქტ**), თუმცა უმეტესად **კ** ბგერას **ქ**-თი ცვლიდნენ. მაგალითად: ბიკტორ – ბიქტორი (ლათ. Victor), თეოფილაკტე – თეოფილაქტე (ბერძნ. Θεοφιλακτά, Θεοφύλακτικός)...

ზოგიერთი ანთროპონიმი „თვენში“ გადმოცემულია ორი ერთნაირი თანხმოვნით, ხოლო თანამედროვე „წმიდათა ცხოვრებაში“ – ერთი თანხმოვნით. მაგალითად: წმ. ფილონილა – ფილონილა, ანა – ანა, პრროვო – პროვო, იპპოლიტე – იპოლიტე, აღრიპპინა – აგრიპინა, ემმელიანე – ემილიანე... ორი ერთნაირი თანხმოვნის თავმოყრა სიტყვის ფუძეში ქართული ენისათვის არაბუნებრივია, მით უფრო თავკიდურ პოზიციაში.

ძველ ქართულში გამონაკლისია **თთუე, ჩჩვილი, სიჩჩო** (სალინაძე 2008: 40). შემდეგ ეს სიტყვებიც მოექცა ქართულ ყალიბში. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქართული ენის ბუნება. თანამედროვე „წმიდათა ცხოვრება“ ამ წესს მიჰყვება.

აღ. ლლონტის აზრით, წარმართულ (შეიძლება ითქვას, ძველ ბერძნულსაც) ანთროპონიმებს სხვადასხვა სტრუქტურული ელფერი აქვთ და ყოველთვის ვერ თავსდებიან იმ ბუნებრივ მორფოლოგიურ მოდელში, რაც დამახასიათებელია ქართველური სახელებისთვის. ანთროპონიმთა ძირეულ მორფემებში ვოკალური და კონსონანტური სემენტები განლაგებულია, ერთი მხრივ, ქართველურ ენათა ლექსიკისათვის დამახასიათებელი ნორმების შესაბამისად, მეორე მხრივ, მათგან განსხვავებული სტრუქტურებია შექმნილი (ღლონტი 1986: 21-22).

ჩვენი ფიქრით, აღნიშნულ სხვაობას განაპირობებს რამდენიმე მიზეზი: საკუთარ სახელთა გადმოცემის ერთი პრინციპის უქონლობით, რაც დაკავშირებულია მთარგმნელზე და იმ ენაზეც, საიდანაც ითარგმნება ტექსტი. რა გზით შემოდის თარგმანი, პირდაპირი თუ ირიბი გზით (შუალობითა თუ უშუალო), ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს უნდა იყოს. როგორც ცნობილია, XVIII საუკუნეში ალექსი მესხიშვილმა და ანტონ I-მა ქართული „თვენი“ (გიორგი მთაწმინდლისეული რედაქცია) შეასწორეს რუსული ტიბიკონის მიხედვით,⁵ რაც იქცა არსებული სხვაობის ერთ-ერთ მიზეზად. ასევე არ ვიცით, საიდან და ვინ თარგმნა „წმიდათა ცხოვრების“ რედაქციები, რომელთა საფუძველზეც გაეწყო თანამედროვე „წმიდათა ცხოვრება“.

ანთროპონიმებში ასეთი დიდი სხვაობა (სახელთა დამთხვევა ან განსხვავებული ვარიანტები...) წმინდანთა აღრევის მიზეზია, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს გაურკვევლობასა და უხერხულობას.

აღნიშნული სხვაობა გამოვლინდა მხოლოდ ერთი ხელნაწერის შედარებით თანამედროვე „წმიდათა ცხოვრებასთან“, რაც ნათლად აჩვენებს საკითხის პრობლემურობას და მომავალში საჭიროებს დროულ, თანმიმდევრულ და სიღრმისეულ კვლევას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

დანელია 1998: დანელია კ., ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან. თბილისი, 1998.

თოფურია 1965: თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი. თბილისი, 1965.

⁵ „თვენის“ გიორგი მთაწმინდლისეული რედაქცია გამოიყენებოდა ქართულ სასულიერო პრაქტიკაში და XVIII საუკუნემდე მკაფიო ცვლილება არ განუცდია, შემდეგ კი გამოვიდა სამი თვის საკითხავი ჰიმნები (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი). ერთი – ძველ რედაქციაზე დამყარებული ნიკოლოზის მიერ გადაწერილი. ორი კი – სლავურ „თვენზე“ გასწორებული ალექსი მესხიშვილისა და ანტონ კათალიკოსის მიერ. „თვენის“ სრული ვერსია არასოდეს არ დაბეჭდილა ქართულად, მის მაგივრობას თანამედროვე ღვთისმსახურებაში სწევს „გამოკრებილი თვენი“ (კეკელიძე 1960: 593).

კეკელიძე 1960: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბილისი, 1960.

მაჩიტაძე 2008: წმიდათა ცხოვრება (შემდგენლები: დეკანოზი მაჩიტაძე ზ., ბუკია მ., ბულია მ.), ტტ. I, II. თბილისი, 2008.

მჭედლიძე 2005: მჭედლიძე მ., ძველ ბერძნულ -os, -as, -ის დაბოლოებიან პირის სახელთა გადმოცემისათვის ქართულში: წელიწდეული ელინოლოგიასა და ლიტურგიკაში. N3. თბილისი, 2005.

ნორმები 1986: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული. თბილისი, 1986.

სარჯველაძე 1984: სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორია. თბილისი, 1984.

საღინაძე 2008: საღინაძე რ., ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეები). თბილისი, 2008.

ღლონტი 1986: ღლონტი ა., ქართველური საკუთარი სახელები: ანთროპონიმთა ლექსიკონი. თბილისი, 1986.

ყაუხჩიშვილი 1956: ყაუხჩიშვილი ს., ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში. წიგნში: თოფურია ვ., (რედ.) სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში. თბილისი, 1956.

შანიძე 1947: შანიძე ა., წიგნი ძველისა აღთქმისა, ტ. I, ნაკ. 1. თბილისი, 1947.

შანიძე 1969: შანიძე მ., ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნვის ისტორიისათვის ქართულში: გიორგი ახვლედიანის საიუბილეო კრებული, მიძღვნილი გიორგი ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი. თბილისი, 1969.

ხელნაწერთა აღწერილობა 1964: ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II (რედ. მ. ნიკოლეიშვილი, შემდგენელი ე. ნიკოლაძე). თბილისი, 1964.

გელათური გულანი: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის K კოლექცია, გელათური გულანი (K-596).

Суперанская 2005: А. Суперанская, Словарь русских личных имён, Айрис-пресс, Москва, 2005.